

2018

ორგანიზაცია:
ფონდი კრისტალი

აუდიტორი: Crowe
Horwath GE LLC
*Member Crowe Horwath
International*

ფონდი კრისტალი

*ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგება	5
საბალანსო უწყისი	5
მოგება-ზარალის უწყისი.....	6
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი.....	7
ცვლილებები საკუთარ კაპიტალში.....	8
ფინანსური ანგარიშგების ასენა-განმარტებითი შენიშვნები	9
ზოგადი ინფორმაცია	9
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები.....	10
ფულადი სახსრები	10
ვალუტის კურსი	10
შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება.....	10

ღამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფონდი კრისტალის გამგეობას:

ჩვენ ჩავატარეთ ფონდი კრისტალის თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ძირითად სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით ფინანსური ანგარიშგებები, ყველა არსებით ასპექტში წარმოდგენილია სამართლიანად, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა 2017 წლის 31 დეკემბრისათვის და მისი ფინანსური მახვენებელი, ასევე წლის დასასრულს არსებული ფულადი ნაკადები „საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების“ შესაბამისია (IFRS).

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის სექციაში –“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შესამოწმებელი ორგანიზაციისაგან, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული “პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის” მოთხოვნების შესაბამისად და ჩვენ დავაკმაყოფილეთ აღნიშნული კოდექსის სხვა ეთიკური მოთხოვნები. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკამრისი და შესაბამისი საფუძველია ჩვენს მიერ მოსაზრების გამოსათქმელად.

სხვა გარემოებათა აბზაცი

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. ჩვენ მოვიპოვეთ და მიმოვიხილეთ სხვა ინფორმაცია, ადგილი არ ქონდა აუდიტორულ ფინანსურ ანგარიშგებასთან შეუსაბამობებს, რაც საჭიროებს ჩვენი მხრიდან წარდგენას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და არ გამოვხატავთ მასზე აუდიტორულ მოსაზრებას.

ფინანსურ ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ ეს ინფორმაცია მნიშვნელოვნად შეუსაბამოა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ცოდნასთან, ან შეიცავს სხვაგვარ მნიშვნელოვან უზუსტობებს.

აუდიტორული დასკვნის თარიღამდე, ჩვენს მიერ მოპოვებულ სხვა ინფორმაციაზე ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, თუ ჩვენ დავასკვნით რომ სხვა ინფორმაცია შეიცავს არსებით უზუსტობებს, ვაღიარებთ ვართ აუდიტორულ დასკვნაში ავსახოთ აღნიშნული ფაქტი. ამ მხრივ არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

ზემოთ აღწერილ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს მოსახსენებელი.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სწორ წარდგენაზე და შიდა კონტროლის ისეთ სისტემაზე, რომელიც მენეჯმენტის მოსაზრებით უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია შეაფასოს საწარმოს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, თუ საჭიროება მოითხოვს გაამჟღავნოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებასთან დაკავშირებული მოვლენები და ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებით თუ ხელმძღვანელობა არ აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არც ამის აუცილებლობა არსებობს.

ფონდი პრინციპალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანად შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორული დასკვნა რომელიც ასახავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არ იძლევა იმის გარანტიას, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოვლენს არსებით უზუსტობებს, როცა მათ აქვთ ადგილი, უზუსტობები შესაძლოა წარმოიქმნას თაღლითობის და შეცდომების შედეგად და ითვლება არსებითად, თუ ინდივიდუალურად ან ერთობლივად შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეყრდნობიან ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აუდიტის ჩატარებისას ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მთელი პერიოდის განმავლობაში.

ჩვენ აგრეთვე

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში შეცდომებით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობათა რისკებს, შევიმუშავეთ და ვახორციელებთ აუდიტორულ პროცედურებს აღნიშნული რისკების აღმოსაფხვრელად და მოვიპოვებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჩვენ მიერ მოსაზრებების გამოსათმქვლად. თაღლითობით გამოწვეული არსებით უზუსტობათა არ აღმოჩენის რისკი არის უფრო დიდი ვიდრე შეცდომებით გამოწვეული არსებით უზუსტობათა არ აღმოჩენის რისკი, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს შეთქმულებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორად წარდგენას ან შიდა კონტროლის სისტემის უგულვებელყოფას.
- წარმოდგენას ვიქმნით კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის შესახებ, რათა დაიგვემოს არსებული პირობებისთვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით რომ გამოიხატოს საკუთარი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ბუღალტრული დაშვებების გონივრულობას და დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნებას.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს გამოყენების გონივრულობას და აუდიტის შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკენით არსებობს თუ არა არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებიც დაკავშირებულია იმ მოვლენებთან ან მდგომარეობებთან, რომელთაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენონ ორგანიზაციის უნარი გააგრძელოს ფუნქციონირება როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკენით რომ არსებითი განუსაზღვრელობები არსებობს, ჩვენ ვაღიარებთ ვართ აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი განმარტების მიმართ ან თუ ასეთი განმარტებები არაადეკვატურია, მაშინ გამოვხატოთ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუტორული დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს, თუმცა მომავალ მოვლენებსა და გარემოებებს შეუძლიათ გამოიწვიონ ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა.
- შევაფასოთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, სტრუქტურა და შემადგენლობა, აგრეთვე ახსნა-განმარტებითი შენიშვნები და შევაფასოთ ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად წარმოადგენს თუ არა თანმხლებ ოპერაციებსა და მოვლენებს.
- მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ორგანიზაციის ფინანსური ინფორმაციისა და ბიზნეს საქმიანობის შესახებ, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით, ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ორგანიზაციის აუდიტის მართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ ერთპიროვნულად პასუხს ვაკვებთ ჩვენს მიერ გამოთქმულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

ჩვენ მოვახდენთ ხელმძღვანელობის ინფორმაციის სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების შესაბამის აუდიტის პროცესში გამოვლენილი მნიშვნელოვანი აუდიტორული აღმოჩენების შესახებ, რომელიც მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

Crowe Horwath GE LLC
მარტი, 2018



Crowe Horwath GE LLC

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება

საბალანსო უწყისი

2017 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

აქტივები	ასსნა- განმარტება	2017	2016
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	1	317,926	194,043
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან		2,749	-
სხვა მიმდინარე აქტივები		18,334	26,466
სულ მიმდინარე აქტივები		339,009	220,509
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, წმინდა	2	5,761	7,547
მონაწილეობა სხვა საწარმოში	3	1,450,192	1,450,192
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,455,953	1,457,739
სულ აქტივები		1,794,962	1,678,248
ვალდებულებები და კაპიტალი			
მიმდინარე ვალდებულებები			
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,751	9,581
საგადასახადო ვალდებულებები			22
ვალდებულება ფიზიკური პირის მიმართ	4	1,328,171	1,328,171
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,333,922	1,337,774
კაპიტალი			
წინა წლის აკუმულირებული მოგება		340,475	74,384
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი		120,565	293,160
კაპიტალის კორექტირება			(27,069)
სულ კაპიტალი		461,040	340,475
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,794,962	1,678,248

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალის უწყისი
2017 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	ასსნა- განმარტება	2017	2016
შემოსავლები			
საოპერაციო შემოსავლები		298,067	414,537
მიღებული პროცენტები		8,748	2,016
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან		16,761	14,557
მიღებული დივიდენდები		455,584	259,110
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები			2
არასაოპერაციო მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან			297,146
სულ შემოსავლები		779,159	987,368
ხარჯები			
შრომის ანაზღაურება		312,215	293,385
საწევრო შენატანების ხარჯები		61,123	36,764
ქვეგრანტები		105,888	204,890
საიჯარო ქირა		23,455	20,962
აუდიტორული მომსახურება		4,130	2,360
პიარ მედია მომსახურება		2,000	9,000
იურიდიული მომსახურების ხარჯები		-	18,229
კონსულტანტების მომსახურება		2,190	1,875
დაზღვევა		16,606	15,885
წარმომადგენლობითი ხარჯები		1,729	4,489
საოფისე ინვენტარი		1,254	-
კომუნიკაციის ხარჯები		3,202	1,740
ადამიანური რესურსები		6,288	-
კომუნიკაციის კამპანია		15,320	-
ცვეთა და ამორტიზაცია		2,185	2,137
სხვა საერთო ხარჯი	5	66,104	55,866
ვებ გვერდის დამზადების ხარჯები		10,900	4,500
სხვა საოპერაციო ხარჯები		12,699	4,712
ოფისის ხარჯი		-	1,096
ტრანსპორტირების ხარჯი		-	2,137
საპროცენტო ხარჯები		1,079	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		10,226	14,182
სულ ხარჯები		658,594	694,208
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		120,565	293,160
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება-ზარალი		120,565	293,160

დართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი
2017 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	2017	2016
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საანგარიშგებო წლის წმინდა მოგება/ზარალი	120,565	293,160
პერიოდის ცვეთა	2,185	2,137
მიღებული პროცენტები	(8,748)	(2,016)
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(16,761)	(14,557)
მიღებული დივიდენდები	(455,584)	(259,110)
არასაოპერაციო მოგება ინვესტიციების რეალიზაციიდან	-	(297,146)
სხვა აქტივები	8,132	382
საგადასახადო მოთხოვნები	(2,749)	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები	(3,808)	(111,419)
მიღებული პროცენტები	8,748	2,016
მიღებული დივიდენდები	455,584	259,110
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	107,564	(127,443)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების ცვლილება	(398)	(1,309)
გრძელვადიანი ინვესტიციების რეალიზაცია	-	322,547
ნეტო ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	(398)	321,238
ფულადის სახსრების ნეტო ზრდა	107,166	193,795
ფულადი სახსრები წლის დასაწყისში	194,043	4,199
საკურსო სხვაობები ფულად სახსრებში და მათ ექვივალენტებში	16,717	(3,951)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	317,926	194,043

ღართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვლილებები საკუთარ კაპიტალში
2017 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	2017	ასსნა- განმარტება	2016
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის დასაწყისისთვის	340,475		74,384
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/ზარალი	120,565		293,160
კაპიტალის კორექტირება			(27,069)
დაგროვილი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	461,040		340,475

ღართული კომენტარები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფონდი კრისტალი, როგორც არასამთავრობო, არაპოლიტიკური, არამომგებიანი ორგანიზაცია დაარსდა 2004 წელს საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთის“ (იძულებით გადაადგილებულ პირებზე ორიენტირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია) მიერ განხორციელებული მიკრო-სესხების პროგრამის საფუძველზე. ფონდი კრისტალის მიზნებია აამაღლოს ფინანსური განათლების დონე დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობაში, გააუმჯობესოს ფინანსური მომსახურების სტანდარტები, განავითაროს ახალი ტექნოლოგიები, რათა გააძლიეროს ფინანსურ მომსახურებასთან წვდომა და განახორციელოს სოციალური და თემის განვითარებისაკენ მიმართული პროექტები.

2007 წლამდე ფონდი კრისტალი ახორციელებდა მიკროსაფინანსო საქმიანობას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2007 წლიდან ფონდმა განიცადა რეორგანიზაცია, შეწყვიტა მიკროსაფინანსო საქმიანობის განხორციელება და მოახდინა საკუთარი მიზნებისა და საქმიანობის ფოკუსირება საგანმანათლებლო, სოციალური და სათემო განვითარების ამოცანების შესრულებაზე.

ფონდის საქმიანობას მეთვალყურეობას უწევს ფონდის გამგეობა, ხოლო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც მოქმედებს გამგეობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიისა და შიდა დებულებების საფუძველზე.

2015 წლის 2 სექტემბერს ფონდი კრისტალსა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს შორის გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც გაგრძელდება 2018 წლის 1 აპრილამდე.

პროექტი „ახალგაზრდების სამეწარმეო უნარ-შესაძლებლობების, დასაქმებისა და შემოსავლის გენერირების მხარდაჭერა საქართველოში“ წარმოადგენს საჯარო სექტორსა და კერძო ბიზნესს შორის წარმოშობილ ახალი ტიპის პარტნიორობას, რომელიც ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოებს და მოდელს იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკურ საქმიანობაში ახალგაზრდების ფართო მასშტაბით მონაწილეობას იმ გაზრდილი შესაძლებლობებით, რომელიც იძლევა თვითდასაქმების შესაძლებლობას ახალი სამწარმოების შექმნის გზით და სხვადასხვა მოწინავე კომპანიებში მეტი სამუშაო ადგილების მოპოვების საშუალებას. ეს არის აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული ერთობლივი ინიციატივა, რომელშიც მონაწილეობს ფონდი კრისტალი, „პროექტი ჰარმონია“ (PH International) და ს.ს. მისო კრისტალი.

პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს მეწარმეობის განვითარებას და ახალგაზრდების მიერ შექმნილი მცირე საწარმოების გაძლიერებას ისეთი ინოვაციური ფორმების გამოყენებით, როგორცაა ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, ცონასა და გამოცდილებაზე. პროექტის ფარგლებში გაიზრდება ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობები შესაბამის ტრენინგების, გაუმჯობესებული ფინანსური საშუალებების, პრაქტიკული ცოდნის მიღების ახალი ფორმების და ახალგაზრდების მხარდამჭერი კორპორატიული პრაქტიკის დანერგვის გზით. და ბოლოს, პროგრამა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ეკონომიკურად გაძლიერების დისკურსის წამოწყებას და განვითარებას. პროექტი იმუშავებს 17-25 წლის 1000-მდე ახალგაზრდასთან, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ცხოვრობენ. პროგრამა მოიცავს 20 მუნიციპალიტეტს.

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფონდი ასევე ახორციელებს ფინანსური განათლების, საგზაო უსაფრთხოებისა და სამართლის უზენაესობის ინიციატივებს და წარმართავს სხვადასხვა აქტივობას ისეთი გამჭოლი თემების ირგვლივ, როგორცაა საჯარო-კერძო დიალოგი და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

ფონდის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. №29.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველები

წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს ფონდ კრისტალის ანგარიშებს, საბალანსო უწყისსა და მასთან დაკავშირებულ შემოსავლებისა და ხარჯების და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისებს.

ფინანსური უწყისები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ქვემოთ განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი დებულებები.

დართული ფინანსური ანგარიშები მოყვანილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში ლარებში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითად ვალუტას.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ფონდის საბანკო ანგარიშზე რიცხულ თანხებს.

ვალუტის კურსი

ვალუტაში წარმოებული ოპერაციები გადაანგარიშდებოდა ლარებში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდებოდა ანგარიშგების თარიღისთვის არსებული კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტის (აშშ დოლარის) მიმართ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

	აშშ დოლარი	გირვანქა სტერლინგი
ლარი	2.5922	3.5005

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავალი მოიცავს მიღებულ დივიდენდებს, საპროცენტო შემოსავლებს, დონორი ორგანიზაციებიდან მიღებულ გრანტებს. მიღებული გრანტების შემოსავლად აღიარება ხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევის პროპორციულად.

ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე დარიცხვის მეთოდის გამოყენებით.

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ფულადი სახსრები

2017 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის ფულადი სახსრები მოიცავს:

ფული საბანკო ანგარიშებზე	2017	2016
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	128,119	66,263
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (GBP)	1	1
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში. (ჩემი სეიფი)	149,376	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში თიბისი (USD)	36,737	-
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში (USD)	2,778	42,932
უცხოური ვალუტა ფინკა ბანკი სადეპოზიტო ანგარიში		84,698
ბიზნეს ბარათი USD	915	150
სულ	317,926	194,043

ზონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2017 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 31 დეკემბრისთვის:

	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და მოწყობილობები	სულ
ისტორიული ღირებულება			
საწყისი ნაშთი	34,250	500	34,750
შეძენა	1,309		1,309
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2016 წლის 31 დეკემბერი	35,559	500	36,059
შეძენა	398		398
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			
2017 წლის 31 დეკემბერი	35,957	500	36,457
დაგროვილი ცვეთა			
2016 წ 1 იანვარი	25,875	500	26,375
პერიოდის დარიცხვა	2,137	0	2,137
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			0
2016 წ 31 დეკემბერი	28,012	500	28,512
პერიოდის დარიცხვა	2,185		2,185
ლიკვიდაცია და ჩამოწერა			
2017 წ 31 დეკემბერი	30,197	500	30,697
ნეტო საბალანსო ღირებულება			
2016 წ 31 დეკემბერი	7,547	0	7,547
2017 წ 31 დეკემბერი	5,760	0	5,760

ფონდი კრისტალი

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

3. მონაწილეობა სხვა საწარმოში

1,450,192 ლარი შეადგენს ფონდის წილს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" აქციებში, რაც შეადგენს საზოგადოების განთავისუფლებული აქციების 47.52%-ს. აღნიშნული აქციების ნომინალური ღირებულებაა 1,450,192 ლარი. განსხვავება 2016 წლის მაჩვენებელთან (47.96%) განპირობებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "კრისტალის" მიერ ახალი აქციების გამოშვებით.

4. ვალდებულება ფიზიკური პირების მიმართ

2012 წელს ფონდ კრისტალს ფიზიკური პირებისგან გადაეცა ჩვეულებრივი აქციები რომლის ღირებულება შეადგენდა 1,178,683 ლარს. გარიგება გასაჩივრებულ იქნა აღნიშნული ფიზიკური პირების მიერ. ვინაიდან არ არსებობს საკმარისი საფუძველი აღნიშნული აქციების ფიზიკურ პირებზე დასაბრუნებლად, ზემოთ ხსენებული თანხა აღიარდა ვალდებულებად ვიდრე არ მოხდება აღნიშნული დავის შესახებ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღება. ფიზიკური პირების მიმართ ვალდებულება აგრეთვე მოიცავს 2012 წელს ფულის სახით განხორციელებულ ტრანსფერს 149,488 ლარის ოდენობით.

5. სხვა საერთო ხარჯი

2017 წლის 31 დეკემბრისათვის ფონდის სხვა საერთო ხარჯები მოიცავს:

	2017	2016
ბანკის მომსახურების საკომისიო	2,052	2,012
გამგეობის წევრების საქართველოში ვიზიტის ხარჯები	18,930	5,587
პრომო მასალები და დიზაინი	1,247	1,060
სტარტაპ გრანდის ხარჯები	9,581	7,679
ვიდეო გადაღება და მონტაჟი	3,625	4,188
აქციების გადაფორმების ხარჯები	-	754
მობილური ფინანსების სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული ხარჯები	-	19,357
ამონაწერები, ბაჟის ხარჯი, ნოტარიუსი მივლინება	33	164
სატრასპორტო ხარჯები	7,485	12,202
საკანცელარიო ხარჯები	7,124	718
საკანცელარიო	2,884	1,874
სხვა ხარჯები	-	63
საკონკურსო განცხადების განთავსება	170	209
მთარგმნელობითი მომსახურება	685	-
საკუთრების დაცვის ინიციატივა	2,426	-
მშვიდობის მშენებლობის ინიციატივა	2,941	-
ბიზნეს ფორუმი	6,921	-
სულ სხვა საერთო ხარჯები	66,104	55,866

ფონდი კრისტალი

*ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორული
დასკვნა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით*

6. საწარმოს ფუნქციონირება

ფონდი 2018 წლის მარტის მდგომარეობით აგრძელებს ფუნქციონირებას და მის საქმიანობის შეწყვეტას რაიმე საფრთხე არ ემუქრება.
